ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №39

ქ. თბილისი 11 მარტი, 2013 წ.

<u>ხელშეკრულების დადების საფუძველია საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს1 ქვეპუნქტი.</u>

გამარტივებული შესყიდვა

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ „გუდაურის განვითარების ფონდი", შემდგომში „შემსყიდველი", ფონდის უფროსის მოადგილის შალვა ბულაშვილის სახით, და მეორე მხრივ შ.პ.ს „ტრადოსი" მისი დირექტორის ხათუნა მღებრიშვილის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი", ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მიმწოდებელი მიაწვდის, ხოლო შემსყიდველი შეისყიდის ნოტარიულად დამოწმებულ მთარგმნელობით მომსახურებას გერმანულიდან, ფრანგულიდან და ინგლისურიდან ქართულ ენაზე:

№	დოკუმენტის დას.	სიმბოლ. რ-ბა	ზომ. ერთ.	თარგმნილი გვ. 1გვ=1800სიმბ	ფასი	ჯამი
1	დიპლომიერის რეზიდეტობის დოკუმენტი (გერმანული)	4500	გვ	2,50	12	30,00
2	ბომას რეზიდენტობის დოკუმენტი (ფრანგული)	4100	გვ	2,28	12	27,36
3	სკიდატას რეზიდენტობის დოკუმენტი (ინლისური)	14100	გვ	7,83	10	78,30
					სულ:	135,66

2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.
2.3 CPV კოდი: 79530000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 135.66 (ას ოცდათხუთმეტი ლარი და 66 თეთრი) ლარს.
3.2 მომსახურების ერთეულის ფასი და ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, მათ შორის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი გაწეულ მომსახურებაზე იღებს ვალდებულებას შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული მომსახურების ხელახალი შესრულება, რომელიც არ იქნება შემსყიდველის ბრალეულობით გამოწვეული, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5. მიწოდების წესი

5.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ერთჯერადად, ხელშეკრულების დადებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
5.3 მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე და ამ სფეროში არსებულ ნორმებთან შესაბამისობაზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი გაწეულ მომსახურებაზე და თუ გაწეული მომსახურება აღმოჩნდება არასრული/უხარისხო/წუნდებული შემსყიდველი უფლებამოსილია წარუდგინოს მიმწოდებელს დასაბუთებული რეკლამაცია, რის შემდეგაც მიმწოდებელი ვალდებულია 3 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს მითითებული ხარვეზის აღმოფხვრა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. გაწეული მომსახურება მიღებულად/ჩაბარებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ. „მიმწოდებელი" წარუდგენს „შემსყიდველს" მიწოდებული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და სასაქონლო ზედნადები/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში).
6.2 მიღება-ჩაბარების აქტზე კონტროლს განახორციელებს სსიპ „გუდაურის განვითარების ფონდი"-ს იურიდიული სამსახურის სპეციალისტი ივანე არჯევნიშვილი.

7. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)

7.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო.
7.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განახორციელდება ლარებში.
7.3 ანგარიშსწორება განახორციელდება მიმწოდებლის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებიდან (შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებიდან) 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 არავითარი ცვლილებები ან გადახრა ხელშეკრულებაში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 – ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.2 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვა სუბიექტს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები.
8.3 ხელშეკრულების შესრულების პროცესში რაიმე ხელის შემშლელი გარემოებების წარმოშობისას მხარეებმა ურთიერთობა უნდა მოაგვარონ წერილობითი შეტყობინების გზით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2 ფორს – მაჟორული გარემოებების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების 1 დღეზე მეტხანს გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო დროულად მიუწოდებელი მომსახურების 0.1 % – ის ოდენობით.
საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.
9.4 ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო.
მყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი.
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ამ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 მოცემული ხელშეკრულება ძალაშია გაფორმებიდან 2013 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

12.სხვა პირობები

11.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან.
11.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.
11.3 „შემსყიდველი" უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
11.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების 2 (ორი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", 1 (ერთი) ეგზემპლარი „მიმწოდებელთან".

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ „გუდაურის განვითარების ფონდი"	შ.პ.ს „ტრადოსი"
მის: ქ. თბილისი, კოსტავას 33ა	მის: ქ. თბილისი, პუშკინის ქ. №19
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"	ს.ს „საქართველოს ბანკი"
კოდი: LBRTGE22	კოდი: BAGAGE22
ა/ა № GE63LB0121131932514000	ა/ა GE09BG0000000234722800
ს/კოდი: 205298211	ს/კ 204 544 029
სსიპ „გუდაურის განვითარების ფონდი"-ს უფროსის მოადგილე:	**შ.პ.ს „ტრადოსი"-ს დირექტორი:**
შ. ბულაშვილი	ხ. მღებრიშვილი